

ახალი სარსაპული


№324 (16), 8 ივლისი, 2016 წ.

ხარაგაულში მებარეშემოების აღდგენისათვის რეალური ნაბიჯები გადაიდგა



სულ რამდენიმე ხნის წინ ხარაგაულში მებარეშემოების აღდგენისა და განვითარებისთვის საპილოტე პროექტი შეიქმნა. „აბრეშუმში ხარაგაულიდან“ ასე ჰქვია პროექტს, რომლის ინიციატორები ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, კობა ლურსმანაშვილი, გამგებლის მრჩეველები სოფლის მეურნეობის საკითხებში მურმან არჯვენიძე და გათავზარაშვილი არიან. საპილოტე პროექტის განსახორციელებლად ხარაგაულის მკვიდრმა, აგრარული უნივერსიტეტის მებარეშემოების კათედრის პროფესორმა, თინა დალალოვიძემ, ჯგუფს აბრეშუმის ქვის გრენი სრულიად უსასყიდლოდ გადასცა. მისი თვებით ჩატარდა ექსპერიმენტი აბრეშუმის პარკის დამზადებისთვის და 22 ივნისს უკვე პარკის პირველი პარტიის მიღება დაიწყო. ამის შემდეგ სპეციალური დანადგარის მეშვეობით, რომელიც მუნიციპალიტეტს ცნობილმა ბიზნესმენებმა, ძმებმა ასკანელეებმა, საჩუქრად გადმოსცეს, აბრეშუმის ძაფის ამოხვევა მოხდა.

ამ საინტერესო პროცესს იმერეთის გუბერნატორი გივი ჭიჭინაძე, გუბერნატორის მოადგილე იოსებ ხახალაიშვილი, მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი, გამგებლის მოადგილეები და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



„დიდი საქმის კეთება დაიწყო ხარაგაულში. მებარეშემოება საქართველოში უძველესი დარგი იყო და მსოფლიოში ჩვენი აბრეშუმი ყველაზე ხარისხიანი. ბოლო 30 წელია, საქართველოში აბრეშუმის ძაფი არ ამოხვეულა და მოხარული ვარ, რომ ეს პროცესი პირველად ხარაგაულში ხდება. ამ მუნიციპალიტეტს მებარეშემოების დიდი ტრადიციები აქვს და იმედაა, რომ იგი კვლავ გაგრძელდება,“ - განაცხადა იმერეთის მხარის გუბერნატორმა, გივი ჭიჭინაძემ.

საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს ფაქტად მიიჩნევენ მებარეშემოების აღორძინებას ბიზნესმენი ჯემსი ჩხაიძე და იგი მოხარულია, რომ ამ კუთხით პირველი რეალური ნაბიჯები ხარაგაულში გადაიდგა - „ქართული აბრეშუმი საქმაოდ ხარისხიანი იყო და ეს ტრადიცია უნდა აღდგეს. ეს იქნება პოზი-



ტიური ნაბიჯი და მნიშვნელოვანად განავითარებს ქართულ ეკონომიკას. პროექტის წარმატებით განხორციელება ადგილობრივების დასაქმებაც შეუწყოს ხელს“.

მუნიციპალიტეტის გამგებელი, კობა ლურსმანაშვილი, მოხარულია, რომ ხარაგაულში მებარეშემოების ტრადიცია კვლავ აღდგა და მადლობას უხდის ყველა იმ ადამიანს, ვისაც ამ პროექტის განხორციელებაში წვლილი მიუძღვის.

„ხარაგაული წარსულ წლებში მებარეშემოებით გახლდათ დაკავებული. ბოლო წლებია ეს ტრადიცია მიტოვებულია და სასიხარულოა, რომ მუნიციპალიტეტში მებარეშემოება კვლავ აღდგება. მნიშვნელოვანია, რომ ინიციატივა თავად ჩვენი რაიონიდან წამოვიდა. დიდი დახმარება გაგვიწიეს იმერეთის გუბერნატორმა და ძმებმა ასკანელეებმა, რისთვისაც მადლობა მინდა გადავუხადო მათ. ვფიქრობ, ხარაგაული უახლოეს მომავალში შეიძლება, მებარეშემოების კუთხით ერთ-ერთი წამყვანი მუნიციპალიტეტი იყოს,“ - დასძინა კობა ლურსმანაშვილმა.

ხარაგაულში წარმატებული სპორტსმენები ფულად ჯილდოს მიიღებენ

4 ივლისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა. სხდომაზე დეპუტატებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები განიხილეს. მუნიციპალიტეტის გამგებლის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, ვლადიმერ გელაშვილმა, საბიუჯეტო ცვლილება წარმოადგინა. როგორც მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, ა(ა)იპ „სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპა-



ლური ცენტრს“, 6 000 ლარი წარმატებული სპორტსმენების ნახალებისთვის მიეცემა. აღნიშნული თანხა 1000 ლარი, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის თანადაფინანსების მუხლიდან, ხოლო 5 000 ლარი სოფლის მეურნეობის განვითარების მუხლიდან გამოიყო. წარმოდგენილ საბიუჯეტო ცვლილებაზე საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ იმსჯელა და დასკვნა წარმოადგინა. კომისიის თავმჯდომარის, ვარლამ ჭიპაშვილის, განმარტებით, სპორტსმენების ნახალება მისასალმებელია, მაგრამ თანხები სოფლის მეურნეობის განვითარების მუხლიდან არ უნდა გამოიყოს. მისი აზრით, ისედაც შემცირებულ სოფლის მეურნეობის პროგრამების სუბსიდიას, კიდევ თანხებს არ უნდა ვაკლებდეთ. ვარლამ ჭიპაშვილმა საკრებულოს სხდომაზე ასევე აღნიშნა, რომ ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელმა თავად უნდა შეარჩოს ის სპორტსმენები, რომლებიც წარმატებული არიან, შემდეგ წარმოადგინოს სია და დაასაბუთოს არგუმენტები, რა კრიტერიუმებით შეარჩია ისინი.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

ივლისიდან პენსია 180 ლარამდე იზრდება

1 ივლისიდან პენსიები იზრდება. მთავრობის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, ასაკობრივი პენსია 20 ლარით გაიზარდება და 180 ლარი გახდება. პენსიები გაეზრდება ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, და 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს. ისინიც ივლისიდან 180 ლარს აიღებენ. პირველი სექტემბრიდან პენსია ასევე გაეზრდება მალაღმთიან რეგიონებში მცხოვრებ პენსიონერებს და 216 ლარი გახდება. წელს პენსიისთვის მილიარდ 570 მილიონი ლარია გათვალისწინებული.

ბაზალეთი-სარგვეში-ლორემა-უბისის ცენტრალური გზა რეაბილიტირდება

ბაზალეთი-სარგვეში-ლორემა-უბისის ცენტრალური გზის კაპიტალური მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე ტენდერი უკვე გამოცხადდა. სამუშაოების ღირებულება 2 მილიონ 450 ათასი ლარი გახლავთ. აღნიშნულ სიახლეს საკუთარი ფეისბუქის პირად გვერდზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, კობა ლურსმანაშვილი, აანონსებს:

„გილოცავთ ხარაგაულელებო! ბაზალეთი-სარგვეში-ლორემა-უბისის ცენტრალური გზის კაპიტალური მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე ტენდერი უკვე გამოცხადდა. (სამუშაოების ღირებულება 2 მილიონ 450 ათასი ლარია), „ქართული ოცნება“ დაპირებებს ასრულებს. მადლობა ყველას, ვინც ამ პროცესში მონაწილეობა მიიღო და თანადგომა გამოგვიცხადა. ოპონენტებსა და პესიმისტებს კიდევ ბევრ „სიურპრიზს“ ვპირდებით,“ - წერს კობა ლურსმანაშვილი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ღირებულება-ბაზალეთის გზის რეაბილიტაცია კონტრაქტის/ტენდერის #:

EIB/MIMP/W/NCB/14-2016

გამოქვეყნებულია: 1 ივლისი 2016 / ძალაშია: 1 აგვისტო 2016

საქართველოში მილიონ ევროს საინვესტიციო ბანკისაგან (EIB) უზრუნველყოფის რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტის (URDP) განსახორციელებლად და განზრახული აქვს სასახურების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული გადასახდებისათვის: ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ღირებულება-ბაზალეთის გზის რეაბილიტაცია.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შედეგ ბუღეტზე:

<https://tenders.procurement.gov.ge/public/?go=195143&lang=ge>

სოფელ გელსამანიაში გზის რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება აქტიურად მიმდინარეობს. სოფელ გელსამანიის ცენტრალური გზის მონაკვეთი იმ პროექტთა შორის ერთ-ერთია, სადაც გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. სამუშაოები მთავარი მაგისტრალიდან სოფლის ცენტრამდე გზის 3 კმ მონაკვეთზე ბეტონის საფარის მოწყობას ითვალისწინებს. განსაზღვრულია სანიაღვრე სისტემის მოწესრიგებაც. პროექტი



რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 439 428 ლარს შეადგენს. სამუშაოებს შ.პ.ს „დალა 73“ ახორციელებს. მიმდინარე სამუშაოებს ადგილზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი ბესარიონ ჭიპაშვილი, ხუნევის მაჟორიტარი დეპუტატი ლენა აბაშიძე და გამგებლის წარმომადგენელი ხუნევის ადმინისტრაციული ერთეულში კახაბერ ლომიძე გაეცნო.

„სოფელი თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, წამდვილად იმსახურებდა ამ გზის რეაბილიტაციას. მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, პროექტის განსახორციელებლად საქმაოდ დიდი შრომა გასწია, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა, გადავუხადო. ასეთი გზა არასდროს ჰქონია სოფელს და მოსახლეობა ძალიან გახარებულია,“ - დასძინა ჩვენთან საუბარში ხუნევის მაჟორიტარმა დეპუტატმა.

გამგებლის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის, ბესარიონ ჭიპაშვილის თქმით, გელსამანიის გზის რეაბილიტაციის სამუშაოები სავარაუდოდ ივლისის ბოლოსთვის დასრულდება. მისივე განმარტებით, ამ ეტაპზე გზა ვიბრო კატოკითაა დამუშავებული და მიმდინარეობს ქვიშა-ხრეშოვანი მასით გასწორება. საბოლოოდ, როგორც პროექტშია გათვალისწინებული, გზაზე 16 სმ. სისქის და 3 მეტრ-ნახევარი სიგანის ბეტონის საფარი დაიგება.

გვერდი მოაზრდა ეპა შპს-მომ

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საკანონმდებლო დეპარტამენტი
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების
13-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად
გვრძანებ:

- 1. გამოცხადდეს განმეორებითი ელექტრონული აუქციონი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით დანართი N 1-ის შესაბამისად. /დანართი N1 თან ერთვის/.
3. განისაზღვროს:
ა) წინასწარი შესატანი „ბე“-ს ოდენობა საწყისი საპრივატიზაციო საფასურის 20%.
ბ) „ბიჯი“-საწყისი საპრივატიზაციო საფასურის 10%.
4. აუქციონი გამოცხადდეს 2016 წლის 5 ივლისს 12 საათზე და დასრულდეს 2016 წლის 15 ივლისს 16 საათზე.
5. ინფორმაცია განთავსდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე: WWW.esuction.ge.
6. ინფორმაცია გამოქვეყნდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე: WWW.kharagauli.ge და მუნიციპალიტეტის ა (ა) .ი.პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის ვებ-გვერდზე „ახალ ხარაგაულში“.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით.
8. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

განმეორებითი აუქციონის დანართი №1

Table with 10 columns: N, მიწის საკუთრების მფლობელის (ქონების) მფლობელი, მისამართი, საკადასტრო კოდი, მუნიციპალიტეტის ფართობი (კვ.მ), მიწის ფართობი (კვ.მ), მიწის სახეობის ლიზენზია, თანხის დაკლებების, ღირებულება პროცენტის დაკლებების, "უს" თანხა, "ზ" თანხა, თანხის გადახდის ვადები.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საკანონმდებლო დეპარტამენტი
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების
13-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად
გვრძანებ:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 14 ივნისის # 50/26 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საქართველოს პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით სააგენტო მასალების გამოსაყვანად ადგილის გამოყოფის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის საფუძველზე
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:
მუხლი 1. შეტანილი იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 14 ივნისის # 50/26 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საქართველოს პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით სააგენტო მასალების გამოსაყვანად ადგილის გამოყოფის შესახებ“.
1. შეტანილი იქნეს ცვლილება განკარგულების სათაურში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგენტო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ“
2. განკარგულების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 46-ე მუხლის მე-4 ნაწილის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად და „საქართველოს პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2016 წლის 3 ივნისის №03/06/02 განკარგულების გათვალისწინებით“
3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 14 ივნისის # 50/26 განკარგულებით დამტკიცებულ #1 დანართის დამატება 21-ე პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბომბები (მუნიციპალური საკუთრება)“.
მუხლი 2. დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს განკარგულების (საარჩევნო სააგენტო მასალების განთავსებისათვის გამოყოფილი ადგილების თაობაზე ინფორმაცია) გამოქვეყნება ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოებში და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.
მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში მისი გატანისთანავე ერთი თვის ვადაში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა #7).
მუხლი 4. განკარგულება ძალაში გამოქვეყნებისთანავე.

სათაგური „საუბრის საზღვარი“ და საყვარელი სპექტაკლი დასახელდა



ფესტივალი „თეატრალური იმერეთი 2016“ დასრულდა. ფესტივალის ფარგლებში, ქუთაისის ლადო მესხიძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის (სცენაზე ხარაგაულის სახალხო თეატრის დასმა სპექტაკლი „სათაგური“ წარმოადგინა. ფესტივალის საუკეთესო სპექტაკლად რეჟისორ მამუკა ცერცვაძის მიერ დადგმული, ჭიათურის მუნიციპალიტეტის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის სპექტაკლი „გეტო“ დასახელდა. საუკეთესო სპექტაკლის გარდა გამარჯვებულები 11 კატეგორიაში გამოვლინდნენ, რომლებიც კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა, მიხეილ გიორგაძემ, იმერეთის გუბერნატორ-

მა გივი ჭიჭინაძემ, პირველმა მოადგილემ პაატა ნადირაძემ, ვიცე-გუბერნატორებმა: გიორგი ჭიღარიამ და იოსებ ხახალაძემ დააჯილდოვეს. ნომინაციაში „საყვარელი მოხუცები“ პრიზი გადაეცათ ხარაგაულის სახალხო თეატრის მსახიობებს: ლუბია კიკნაძესა და ნიკო ნიკლაურს, ქალბატონ ლუიზას მაყურებლის სიმპათიის პრიზი (ფულადი ჯილდო) ხედა წილად. მაყურებლის სიმპათიის პრიზი ფულადი ჯილდოს სახით გადაეცა ასევე თეატრის მთელ დასს. ნომინაციაში „საუკეთესო საბავშვო და საყვარელი სპექტაკლი“ დაჯილდოვდა ხარაგაულის სახალხო თეატრის რეჟისორი ირინე ჩხეიძე. „თეატრალური იმერეთი არა მხოლოდ იმერეთის, არამედ მთელი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებს. კულტურის სამინისტროს პრიორიტეტია, მალე მოხდეს კულტურული სამყაროს გამრავალფეროვნება. იმერეთის ფესტივალი კი ამის დიდი მაგალითია.“ - განაცხადა კულტურის მინისტრმა. იმერეთის რეგიონში „თეატრალური იმერეთი“ უკვე მეშვიდედ, იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტების მხარდაჭერით ტარდება. ფესტივალის ფარგლებში წელს 18 სპექტაკლი იყო წარმოდგენილი.

აპა შავიძე

ხარაგაულში ხანძრის აღკვეთის სამუშაოები

საქართველოში მეკლდეურობისთვის დღემდე არსებული საინტერესო ადგილების ჩამონათვალს სულ მალე ხარაგაულიც შეუერთდება. 2020 წელს მეკლდეურობა ოლიმპიური სპორტის ერთ-ერთი სახეობა იქნება. საქართველოს სამთო გამყოფი ასოციაციის პრეზიდენტი ხარაგაულში მეკლდეურობის განვითარების რესურსს და სპორტის ამ სახეობის სამომავლო პერსპექტივებს აფასებს. დათო რაქვიაშვილი ამბობს, რომ ხანძრების მონაკვეთმა ცალსახად შეიძლება ხარაგაულში მიზიდულობის ცენტრი გააჩინოს. დავით რაქვიაშვილი: „ხანძრების კლდეების რესურსი ამ ეტაპზე ტურისტებისთვის და ადგილობრივებისთვის მეკლდეურობის განსაკუთრებულად იდეალურია. ვფიქრობ, ხარაგაულისთვის საინტერესო იქნება, რომ ახალგაზრდა ადამიანებმა ბავშვობიდანვე დაიწყონ სპორტის ამ სახეობაში ჩაბმა. ვნახეთ რამდენიმე ადგილი, სადაც დამწყებთათვის შეიძლება გაკეთდეს ეს საცოცი პარკი. ფიზიკური მონაცემების მქონე ადამიანი სპორტის ამ სახეობაში საკმაოდ სწრაფად პროგრესირებს და 2-3 წელიწადში დამწყებმა სპორტსმენმა შესაძლებელია შეეძლოს კატეგორიის სირთულეს და უფრო მეტს მიიღოს. დღემდე საქართველოში მეკლდეურობის განვითარებისათვის ყველაზე კარგი რესურსი ჭიათურაში კაცხის სვეტი იყო, სადაც მონასტერი აშენდა და კლდეზე ცოცვა აკრძალეს. მეორე საინტერესო ადგილი, სადაც საცოცი პარკი გაეჭეს, ყაზბეგია. სპორტის ეს სახეობა ვითარდება თერჯოლაში. მალე ამ ჩამონათვალს შეიძლება, ხარაგაულიც შეუერთდეს. ხარაგაულის საცოცი პარკი ბაში იქნება თერ-

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საკანონმდებლო დეპარტამენტი
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების
13-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად
გვრძანებ:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 14 ივნისის # 50/26 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საქართველოს პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით სააგენტო მასალების გამოსაყვანად ადგილის გამოყოფის შესახებ“ ცვლილების შესახებ საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის საფუძველზე
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:
მუხლი 1. შეტანილი იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 14 ივნისის # 50/26 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საქართველოს პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით სააგენტო მასალების გამოსაყვანად ადგილის გამოყოფის შესახებ“.
1. შეტანილი იქნეს ცვლილება განკარგულების სათაურში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგენტო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ“
2. განკარგულების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 46-ე მუხლის მე-4 ნაწილის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად და „საქართველოს პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2016 წლის 3 ივნისის №03/06/02 განკარგულების გათვალისწინებით“
3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 14 ივნისის # 50/26 განკარგულებით დამტკიცებულ #1 დანართის დამატება 21-ე პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბომბები (მუნიციპალური საკუთრება)“.
მუხლი 2. დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს განკარგულების (საარჩევნო სააგენტო მასალების განთავსებისათვის გამოყოფილი ადგილების თაობაზე ინფორმაცია) გამოქვეყნება ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოებში და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.
მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში მისი გატანისთანავე ერთი თვის ვადაში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა #7).
მუხლი 4. განკარგულება ძალაში გამოქვეყნებისთანავე.

